ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 31 (10401) 20 სექტემბერი, 2021 წ. ფასი 60 თეთრი.

რატომ არ პასუხობს რედაქციის წერილს წიალის ეროვნული საგენტო???

გაზეთი „ალიონი“ წლებია მუშაობს მდინარეების აუზში (სუფსა, ნატანები, ბჟუჟი, აჭისწყალი) ქვიშა-ხრეშის მოპოვების კანონიერების თემებზე. არასამთავრობებთან, საზოგადოებასთან ერთად, მოწმეა თუ როგორ გახდა შესაძლებელი რიგ სოფლებში ქვიშა-ხრეშის ბარბაროსული მოპოვების შეწყვეტა.

3 წელია მდინარე სუფსის აუზში (ძიმითი, ნაგომარი, ჯუმათი, ბაილეთი, სილაური) ქვიშა-ხრეშის მოპოვების კანონიერებას ვიკვლევთ. სოფელ ძიმითის მოსახლეობამ შეძლო სოფლის ტერიტორიიდან გაეძევებინა ერთ-ერთი კომპანია. ხოლო სხვაგან, მოსახლეობის პროტესტის გამო, დროებით შეჩერდა სამუშაოები, თუმცა შემდეგ კვლავ გაგრძელდა.

მდინარე სუფსისა და მდინარე ნატანების აუზებში შემდეგი კომპანია მუშაობდა: „ნატა 2000“, „სამი ძმა,“ „ქიუ ემ სი“, „ბორან ქონთრაქშეინი,“„ჯორჯიან მინერალსი“, რომელთა უკან საქართველოში გავლენიან პირებს ასახელებენ.

გარემოსდაცვითი ორგანიზაციების სხვა თემებზე გადართვის გამო, კარიერების თემა დროებით მიეფარა საზოგადოების თვალსაწიერს. არადა, მდინარეების აუზში კვლავ ინტენსიურად ხდება ქვიშა-ხრეშის მოპოვება, მდინარე სუფსაზე ზოგიერთ მონაკვეთი ისეა აოხრებული, მდინარის ფსკერიც კი ამოუღიათ. მძიმეწონიანი მანქანების მოძრაობის შედეგად დაზიანებულია ოზურგეთი-ჯუმათი-გულიანის გზის მნიშვნელოვანი მონაკვეთი.

ამ თემაზე გაზეთი „ალიონი“ წერდა 9 აგვისტოს ნომერში: *„გასწორხაზოვნება თუ ქვიშა-ხრეშის უპრობლემოდ მოპოვების ახალი გეგმა.“*

მესამე თვეა ოზურგეთი-ბაილეთი-ჯუმათის დამაკავშირებელი ხიდის ქვემოთ მუდმივად მუშაობს 4 ტრაქტორი და ათეულობით მაღალი ტვირთამწეობის მანქანით დღე-ღამის განმავლობაში ასეულობით რეისს ასრულებენ.

თუ წინა წლებში, ბაილეთი-სილაურის მოსახლეობამ არაერთი აქცია გამართა ხეობაში მომუშავე კომპანიების წინააღმდეგ, შემდეგ ეს პროცესი შეჩერდა. ამაში წვლილი კომპანია „ქიუ ემ სის“ მიერ ხეობის სოფლებთან გაფორმებული მემორანდუმი იყო, რომლითაც აქაურ მცხოვრებლებს, საყანე ფართობების დამუშავებაში წილობრივი მონაწილეობას და სოფელ სილაურსა და ბაილეთში გზების კეთილმოწყობას დაპირდა.

„ქიუ ემ სიმ“ გაზაფხულზე მონაწილეობა მიიღო ყანების დახვნა-დათესვის კამპანიაში (1 ჰექტარ მიწის დამუშავებზე 500 ლარიდან 170 ლარი მათი წილი იყო) და რამდენიმე დღის წინ განაახლა სილაურ-ჯუმათის დამაკავშირებელი გზის შეკეთება.

როგორც ოზურგეთის მერის წარმომადგენელმა სოფელ სილაურში **გოჩა ჯანხოთელმა** გვაცნობა, ამჟამად კომპანიას გზაზე ქვა-ღორღი შეაქვს...

კვლავ სწრაფი ტემპით მიმდინარეობს აქ არსებული 200 მეტრი სიგრძის, 9-მალიანი ხიდის (რომელიც რამდენიმე მილიონ ლარად არის შეფასებული) გვერდით ათასობით კუბური მეტრი ქვიშა-ღორღის ამოღება. ამ დარგის სპეციალისტები არ ვართ, მაგრამ ასეთი სახის გასაძალიან სერიოზული პრობლემებია. იცის ეს ხელისუფლებამ და არჩევნების მერე, თალაკვაძის მოსვლის შემთხვევაში ავთანდილი დააყენებს ამ საკითხს. იგი დაპირდა მოსახლეობას გომში, რომ აუცილებლად გადაიხედება ეს საკითხი და პრიორიტეტი, პირველ რიგში, ექნება შემოქმედის თემის და საერთოდ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მცხოვრებლებს.

▶▶▶ გვ-2

რას ფიქრობენ თვითმმართველობის არჩევნების შესახებ დეპუტატობის კანდიდატები

რეკლამებიდან მიღებულ შემოსავლებს გაზეთისთვის საცხოვრებლო მნიშვნელობა აქვს, თუმცა, ასე არ ფიქრობენ 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიები, ოზურგეთის მერობის კანდიდატები. მიუხედავად ამისა, გაზეთი „ალიონი“ მაქსიმალურად ცდილობს, მიაწოდოს მკითხველს (ამომრჩეველს) ინფორმაცია საარჩევნო გარემოს, საარჩევნო კომისიების მუშაობის, პოლიტიკური სუბიექტების შესახებ.

რედაქციამ გაითვალისწინა ისიც, რომ ზოგიერთ პოლიტიკურ პარტიას, ადგილობრივი თვითმმართველობის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს არ აქვს სათანადო ფინანსები საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად, მით უმეტეს რეკლამებისთვის. ამიტომ რედაქციამ ყველა პარტიას (ფინანსურად ძლიერსაც და უფინანსოსაც) დაუთმო საგაზეთო ფართი მათი კანდიდატების საზოგადოებისთვის წარსადგენად. კანდიდატურები თავად პარტიებმა შეარჩიეს. საუბრის თემა იყო მათი მოსაზრებები საარჩევნო გარემოზე და საკრებულოს წევრად არჩევის შემთხვევაში მათი მათ მიერ განსახორციელებელ აქტივობებზე.

ნაციონალური მოძრაობის ადგილობრივმა წარმომადგენელმა დავით მჟავანაძემ უარი უთხრა რედაქციას კანდიდატის შერჩევაზე და თავისუფალ მედიასთან თანამშრომლობაზე.

ნუგზარ სარჯველაძე, *მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ბოხვაური-შემოქმედი, გომისმთა საარჩევნო ოლქში (პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული*

საქართველო“): – ჯერჯერობით ნორმალური საარჩევნო გარემოა. სხვადასხვა პარტიებიდან ცოტა პროვოკაციები არის, როგორც ჩვევიათ წინასაარჩევნო პერიოდში. ზოგიერთი პარტია საარჩევნო მარათონს სამი ოქტომბრიდან იწყებს, მაგისთვის უფრო ემზადებიან, ვიდრე არჩევნებისთვის. ათასი პროვოკაციით, სიბინძურით ცდილობენ მმართველი გუნდის დისკრედიტაცია მოახდინონ. მაგრამ ხალხი, ალბათ, საღად შეაფასებს არსებულ ვითარებას და სწორ არჩევანს გააკეთებს, როგორც ადრე აკეთებდა.

მოსახლეობის მხრიდან ძირითადად კეთილგაწყობაა. არის რამდენიმე უკმაყოფილოც. რა თქმა უნდა, რაღაც პრობლემები არის, რაც აწუხებთ. ზოგიერთის სოციალური ფონი აუცილებლად გასაუმჯობესებელია, ზოგიერთს სოციალური დახმარება შეუჩერეს, ზოგს ჯანმრთელ-ობის მდგომარეობის გამო სჭირდება დახმარება. ასეთი საკითხები შესასწავლი და სამართლიანად გადასაწყვეტია. გომის მთის საკითხთან დაკავშირებითაც გოგებს, საჯარო მოხელეებს. ჯერ კიდევ არ არის გამოვლენილი რესურსის გამოყენება ბოლომდე, მომდევნო კვირაში უფრო მეტი რესურსი გამოჩნდება. ეს იქნება ფულადი,

კოორდინატორების რესურსი. მე ვიცი, რომ რამდენიმე სოფელში, მეთვალყურე ჰყავთ თითქმის ყველა მესამე ოჯახიდან, რომლებიც კონტაქტში არიან ხელისუფლებასთან. ასეთი მიდგომით ვერ მივაღწევთ, რომ არჩევნებში თავისუფალმა მოქალაქემ გამოხატოს ნამდვილი აზრი. ასეთი მიდგომა აუცილებლად შესაცვლელია. 7-8 წლის წინ გამოიკვეთა ტენდენცია – პოლიტიკა გავიტანოთ სკოლებიდან, ძალოვანი სტრუქტურებიდან, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებიდან, მაგრამ ეს ყველაფერი ისევ დაბრუნდა, უფრო მაღალ ხარისხში, უფრო მუტანტურად.

როცა პანდემია დაიწყო და ეკონომიკამ დიდი დარტყმა მიიღო ჩვენ, ჩვენი პარტიის ეკონომიკურ გუნდს გვქონდა დახმარების სამპუნქტიანი გეგმა, 6-მილიარდიანი ფონდიდან 3 მილიარდი მოხმარდებოდა საშუალო და მცირე ბიზნესს, 2 მილიარდი მცირე საწარმოების გადარჩენას, იყო გათვალისწინებული ტურიზმიც და ასე შემდეგ. ამ გეგმიდან, „ქართულმა ოცნებამ“ პლაგიატურად გადაიღო ბევრი რამე. ახლა გვაქვს ეკონომიკური განვითარების მარშალის გეგმა. პირველ რიგში, მუხლობრივად გავივლით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს. უნდა მოხდეს დეცენტრალიზაცია თანხების, ადგილობრივი ბიუჯეტების გაძლიერების.ყველა სოფელს უნდა ჰყავდეს აგრონომი და ვეტერინარი.

საკრებულოს დონეზე დავინტერესდები, რა თანხაა სოციალურად დაუცველ პირებზე და როგორ ნაწილდება ეს თანხა. გავაკონტროლებთ მაქსიმალურად, რომ ფული არ მოიპარონ. მე ამის დიდი გამოცდილემა მაქვს. ყველასთან ვითანამშრომლებთ, ვინც, მზად იქნება ხალხს ფული არ მოპაროს, წაართვას. ხმამაღლა ვიტყვით, სად დავინახეთ არაპროფესიონალიზმი, სად არ არის პატიოსნება. ყველაფერზე გვექნება სათანადო პასუხი. მხარს დავუჭერთ პროფესიონალებს, პატრიოტებს და პატიოსნებას.

ინდირა გორგოშიძე, *მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი დაბა ნასაკირალში („მესამე ძალა“):* – ჩვენთვის, კონკრეტული პოლიტიკურ სუბიექტისთვის, წლევანდელი

▶▶▶ გვ-3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani15@gmail.com
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა

დაინყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე «ალიონით»

რატომ არ პასუხობს რედაქციის წერილს წიალის ეროვნული სააგენტო???

წორხაზოვნების სამუშაოები ჯერ არ გვინახავს. ადგილობრივი სპეციალისტებიც სკეპტიკურად არიან განწყობილი მიმდინარე სამუშაოების მიმართ და იგი საფრთხის შემცველად მიაჩნიათ ხიდისთვის.

კომპანია „ქიუ-ემ-სის“ დირექტორ **იაკობ ლექვინიძესთან** საუბრის შემდეგ, როცა მან ადგილობრივი სპეციალისტები „უცოდინარად“ მონათლა, წიაღის ეროვნულ სააგენტოს მივმართეთ:

„წიაღის ეროვნულ სააგენტოს

გთხოვთ მოგვცეთ საჯარო ინფორმაცია კომპანია „ქიუ ემ სის“ მიერ მდინარე სუფსის აუზში ქვიშა-ხრეშის მოპოვებასთან დაკავშირებით.

კომპანია „ქიუ ემ სი“ უშუალოდ ოზურგეთი-ბაილეთი-ჯუმათი-გულიანის დამაკავშირებელ გზაზე, ხიდს ქვემოთ, სოფელ ბაილეთის 26.07 და სილაურის 26.09 კვადრატებს შორის, „გასწორხაზოვნების“ მოტივით მდინარე სუფსის აუზში იღებს ათასობით კუბმეტრ ქვიშა-ღორღს.

გთხოვთ წერილობით (ან ელექტრონულად) გვიპასუხოთ:

აქვს თუ არა კომპანია „ქიუ ემ სის“ სუფსის ხიდის მონაკვეთზე წიაღის ეროვნული სააგენტოს ნებართვები გასწორხაზოვნების და იქ ქვიშა-ხრეშის მოპოვების შესახებ“.

ეს წერილი სააგენტოს ელექტრონულ მისამართზე 12 აგვისტოს, 15 საათსა და 02 წუთზე გავგზავნეთ. რადგან შუალედური პასუხი ვერ მივიღეთ, 31 აგვისტოს, 16 საათსა და 40 წუთზე შეხსენების წერილით მივმართეთ.

გაგზავნილ წერილზე პასუხის მიღების ყველა ვადა ამოიწურა. წიაღის ეროვნული სააგენტომ ჩვენს წერილს არ უპასუხა.

ამ დროს კი, უხეში დათვლით, დღის განმავლობაში სუფსის აუზში მომუშავე მძიმე წონიანი მანქანები 500-დან 600 რეისს ასრულებენ.

მხოლოდ ერთხელ, 5 სექტემბერს, ცოტა ხნით შეაჩერა მუშაობა კარიერზე „ქიუ ემ სიმ“, როცა პარტია „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატი სოფელ ბაილეთში მხარდამჭერებს ხვდებოდა. საქმე ის არის, „ქართული ოცნების“ შტაბი უშუალოდ ცენტრალური გზის პირასაა და მანქანების გაუთავებელი მოძრაობისა და ხმაურის გამო, რითაც შეწუხებულია ადგილობრივი მოსახლეობა, შეხვედრაზე გამომსვლელთა მოსმენა შეუძლებელი გახდებოდა.

გაზეთი „ალიონი“ ამ თემაზე განაგრძობს მუშაობას და შეეცდება წიაღის ეროვნული სააგენტოდან საჯარო ინფორმაცია სასამართლოს დახმარებით მიიღოს.

ნახელმწიფო რწმუნებულს ორი ახალი მოადგილე ჰყავს

გურიაში სახელმწიფო რწმუნებულს გიორგი ურუშაძეს ორი ახალი მოადგილე ჰყავს. დღეიდან რწმუნებულის პირველი მოადგილე **ლევან ჯაფარიძე,** ხოლო მოადგილე **ზაზა შოშიტაიშვილი** იქნებიან. გიორგი ურუშაძემ მოადგილეები სამხარეო ადმინისტრაციის თანამშრომლებს გააცნო.

ლევან ჯაფარიძე პროფესიით სახელმწიფო მართვის სპეციალისტი და სამართალმცოდნეა. იყო ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მე-6 მოწვევის საკრებულოს წევრი, გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე და სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრი. 2013-2021 წლებში მუშაობდა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“-ში, რეგიონული მართვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ. 2005-2006 წლებში იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტის დეკანის მოადგილე. საქართველოს სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტურ ორგანიზაციათა ლიგის ხელმძღვანელი. ასევე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდკავშირის პრეზიდენტი.

ზაზა შოშიტაიშვილი პროფესიით ეკონომისტია, მას საჯარო სამსახურში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. ის ოზურგეთის საკრებულოში მაღალ თანამდებობებს იკავებდა. იყო მთავარი სპეციალისტი მატერიალური უზრუნველყოფის საკითხებში, საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი და აპარატის უფროსი. ზაზა შოშიტაიშვილი 1997-2000 წლებში იყო ოზურგეთის რაიონის გამგებლის თანაშემწე, ხოლო 2000-2004 წლებში მუშაობდა რწმუნებულის თანაშემწედ.

ლევან ჯაფარიძე

ზაზა შოშიტაიშვილი

შეხვედრა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან

გურიაში სახელმწიფო რწმუნებული **გიორგი ურუშაძე** მოადგილეებთან და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე მზია გიორგობიანთან ერთად გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების **(GIZ)** წარმომადგენლებს შეხვდა და სამომავლო საინვესტიციო პროექტების განხორციელებაზე იმსჯელეს. რწმუნებულმა რეგიონის პოტენციალზე გაამახვილა ყურადღება და ყველა იმ მნიშვნელოვანი პროექტის შესახებ ისაუბრა, რომელიც გურიაში ხორციელდება. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება **(GIZ)** გამოთქვამს მზაობას აქტიურად ითანამშრომლოს გურიის რეგიონთან, საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვით-არების პროგრამის ფარგლებში და განახორციელონ ისეთი პროექტები, სადაც ჩართული იქნება, როგორც ადგილობრივი მოსახლეობა და ბიზნეს-სექტორი, ასევე, ცენტრალური ხელისუფლება და ადგილობრივი თვითმმართველობები.

GIZ-თან თანამშრომლობით საქართველოში არაერთი პროგრამა განხორციელდა და ამჟამადაც მიმდინარეობს.

ყიაღის უკანონოდ მოპოვების კიდევ ერთი ფაქტი გამოვლინდა

ალიონი. ქვა-ღორღის უკანონოდ მოპოვების ფაქტი მდ. ნატანებზე, ყოფილი „კრუპსკაიას“ ქუჩის ბოლოს გასულ პარასკევს გამოვლინდა. აქ მდებარეობს სატეხი-საწყობი, რომელიც „ბლექსი გრუპს“ ეკუთვნოდა და ახლანდელ მეპატრონეს ვადგენთ. მიმდინარეობდა წიაღის უკანონოდ მოპოვება. ინფორმაციის მიღების შემდეგ, გამოვიძახეთ გარემოს დაცვის დეპარტამენტის ჯგუფი, მოვიდა პოლიციაც. მეპატრონე გაიქცა... საქმე აღიძრება უკანონო მოპოვებისა და შემოსავლების დამალვის მიმართულებით. ვაგრძელებთ კვლევას.

ე.წ. სატეხებთან ეს უკვე მერამდენე ფაქტია უკანონოდ მოპოვებისა - ეს ინფორმაცია გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაცია „ეკოს“ დამფუძნებელმა ირმა გორდელაძემ გაავრცელა.

როგორც ირმა გორდელაძემ გაზეთ „ალიონს“ უთხრა, გარემოს დაცვის სამსახურმა ტრაქტორის მეპატრონის დადგენა მას შემდეგ დაიწყო, რაც შემთხვევის ადგილას ოზურგეთის პოლიციის უფროსის მოადგილე გიორგი შარაშენიძე მივიდა.

როგორც გაირკვა, კომპანია „ბლექსი ჯგუფმა“ ქვის სატეხი საწარმო გაყიდა.

დახურული კარიერის ახალი მეპატრონე პაატა ჯიბლაძე ბათუმიდან ჩამოვიდა, მაგრამ როგორც კი შემთხვევის ადგილზე ჟურნალისტები დაინახა, ტერიტორია დატოვა.

ჩვენი თხოვნით პოლიციამ ტრაქტორი დალუქა. ახლა მისი იდენფიცირება უნდა მოხდეს. – გვითხრა გორდელაძემ.

გიორგი ურუშაძე სრულიად აკადემიურ სივრცეს ულოცავს სწავლის დაწყებას

სახელმწიფო რწმუნებული ლანჩხუთის, ოზურგეთის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში **გიორგი ურუშაძე** სრულიად აკადემიურ სივრცეს ულოცავს სწავლის დაწყებას: *„ვილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას ყველა ჰედავოს, მოსწავლესა და სტუდენტს! მჯერა, რომ ახალი სასწავლო წელი თითოეული თქვენთა-განისათვის წარმატებული იქნება. განათლება და განათ-ლებული ახალგაზრდობა საქართველოს წინსვლისა და წარმატების აუცილებელი წინაპირობაა! იყავით აქტიურები და ჩაერთეთ თქვენი სასწავლებლის, ქალაქისა და ქვეყნის განვითარების პროცესში! ყველას გისურვებთ ჯანმრთელობასა და წარმატებებს.“*

რას ფიქრობენ თვითმმართველობის არჩევნების შესახებ დეპუტატობის კანდიდატები

არჩევნები უფრო აქტიურია, ვიდრე წინა. გასულ წელს, ოზურგეთში, ჩვენს აქტიურობას გაცნობითი ხასიათი ჰქონდა. მივდიოდით მოსახლეობასთან, ვაცნობდით ჩვენს სტრატეგიას და ზოგადად პარტიას. დღეს, ჩვენ უკვე ახალ ეტაპზე ვართ, ახალი შემართებით, ჩამოვაყალიბეთ ახალგაზრდული ჯგუფი, სხვადასხვა პარტიებიდანაც შემოგვიერთდნენ.

ხელშეშლა არ ყოფილა. ჩემს სოფელში კონკურენტად ,,ნაციონალიც" მყავს და ,,ოცნებაც", მაგრამ არანაირი ხელშეშლა. ყველა თავის საქმეს აკეთებს და კმაყოფილი ვარ ამით. პოლიტიკა ჩემთვის ყოველთვის კამათთან, ჩხუბთან ასოცირდებოდა, მაგრამ - არა, სიმშვიდეა ნამდვილად. ყველამ ჩვენ-ჩვენი საქმე უნდა ვაკეთოთ, ერთმანეთს ხელი არ უნდა შევუშალოთ.

შესაძლებლობის შემთხვევაში, პირველ რიგში, წყლის პრობლემას მოვაგვარებდი. ასევე არის ინფრასტრუქტურული პრობლემები გზასთან, განათებასთან დაკავშირებით. თუ ხალხი მხარს დამიჭერს, ჯერ აუცილებლად ჩემ სოფელს მივხედავ. გზის და განათების გარდა, აქ არის რაიონები, სადაც ტრანსპორტის პრობლემაცაა, მაგალითად ნასაკირალის პირველ რაიონში. ნასაკირალში არის რაიონი, სადაც აქვთ კარგი სკოლაც, გზაც, მარკეტიც, პატარა აფთიაქიც, მაგრამ ნასაკირალი მარტო ერთი რაიონით არ შემოიფარგლება. ეს არის დიდი დასახლება და სჭირდება ამბულატორია იქნება ეს თუ მარკეტი, 2-3 მაინც, რომ მოსახლეს უბრალო რაღაცის გამო არ მოუწიოს ქალაქში ჩამოსვლა. შეხვედრისას კიდევ ერთი პრობლემა გამოიკვეთა. ბაღის თანამშრომლები ამბობდნენ, რომ სათანადოდ არ ხდება ნარჩენების გატანა, არ არის სანაგვე ურნები. ნარჩენებს ქუჩაში ხომ არ დაყრიდნენ, ამიტომ მიჰქონდათ სახლებში.

რაზეც მე ახლა ვსაუბრობ ყველაფერი მოგვარებადია მუნიციპალურ დონეზე.

მირზა ჩხიკვიშვილი, *საკრებულოს დეპუტატობის კანდიდატი, (,,საქართველოს პატრიოტთა ალიანსი"):* — ასეთი მშვიდი, დალაგებული არჩევნები მე პირადად არ მინახია. თითქოს დაიხვეწა კულტურა. ეს ჩემი

სუბიექტური აზრია.

ჩემს წინასაარჩევნო აქტიურობას რაც შეეხება, არის ადამიანებში ნიჰილიზმი, გაღიზიანებულიც არის ამომრჩეველი, ამიტომ ცოტას ვერიდებით, ძალიან გამომწვევად, თვალშისაცემად არ უნდა იაქტიურო. უნდა გააცნო შენი პროგრამა, შესთავაზო გაზეთი, გაუღიმო და წამოხვიდე. არ მომწონს ის დამოკიდებულება, რომ ადამიანს თხოვო მხარი დაგიჭიროს. კატეგორიული წინააღმდეგი ვარ ასეთი მიდგომის, ამით ირღვევა საკუთარი სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა.

საკრებულო აქამდე დიდი ავტორიტეტით არ სარგებლობდა, მაგრამ თუკი შეიქმნება ისეთი საკრებულო, სადაც დეპუტატის და პარტიის წევრის ხმა მნიშვნელოვანი იქნება საკითხის განხილვის დროს, ასეთ შემთხვევაში ექნება აზრი საკრებულოს წევრობას. მაქსიმალურად ვეცდები სამართლიანობით მივუდგე ყველა საკითხს და ჩემი აზრი დავაფიქსირო ხალხის საკეთილდღეოდ. ჩემთვის, ჩემი გუნდის წევრებისთვის მთავარი სოციალური საკითხებია, ადამიანების მდგომარეობის გაუმჯობესება. მეტი სოციალური პაკეტი, მეტი დახმარება სოციალურად დაუცველ ფენას. ჩვენი პრიორიტეტია იმ სოციალურ ფენაზე ორიენტირება, რომელსაც ყველაზე მეტად სჭირდება აუცილებელი დახმარება. რაც შესაძლებელია ქალაქის ბიუჯეტიდან გამომდინარე.

კიდევ ერთს დავამატებ, ჩემმა პარტიამ წინა არჩევნებზე დაუშვა შეცდომა, როცა მერობისთვის ბრძოლაში დათმო პოზიცია და მხარი დაუჭირა სხვა კანდიდატს. ასეთ შეცდომას აღარ დავუშვებთ, არ გვყავს მერობის კანდიდატი ე.ი არც ერთ კანდიდატს არ ვუჭერთ მხარს. პირადად ჩემთვის, როგორც მოქალაქისთვის უფრო მისაღებია თალაკვაძის კანდიდატურა. პარტიის სახელით კომენტარს ვერ გავაკეთებ.

ვანო გოგოლაშვილი, *მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ქ. ოზურგეთის №2 საარჩევნო ოლქში (,,ანა დოლიძე —ხალ-*

ხისათვის"): — საარჩევნო გარემო მთლად იდეალური არ არის, მაგრამ არც ძალიან აუტანელია. მგონი ეძლევათ შანსი სხვადასხვა პარტიებს მერობის კანდიდატებს საკუთარი მოსაზრებები გამოთქვან, მათ შორის საჯაროდ დააფიქსირონ. მაგრამ დამოუკიდებლობის 30 წლისთავზე უნდა მივიდეთ იმ წერტილამდე, რომ ოპონენტის ლანძღვა არაა პოლიტიკა. ამ არჩევნებზე ჯერჯერობით ეს მომენტი არ დგას. ჩვენ, ყველა პოლიტიკოსმა, მართვის სპეციალისტმა, მერობის კანდიდატმა უნდა გავითავისოთ, რომ ვუთხრათ საზოგადოებას სათქმელი იმის შესახებ, რის გაკეთებას ვაპირებთ ჩვენ თვითონ. აბსოლუტურად მეორე ხარისხოვანია ოპონენტის ლანძღვა-გინება, დაკნინება. ეს ყველაფერი პირიქით უბრუნდება ყველა პოლიტიკოსს. მე ვთვლი, რომ ერთ-ერთი იმ პარტიის წარმომადგენელი ვარ, რომელიც ამ კლიშეთი არ საზრდოობს და აზროვნებს. მე ვარ სრულიად ახალ შექმნილი, სულ რაღაც სამი თვის ისტორიის მქონე პარტიის ,,ანა დოლიძე -ხალხისთვის" წევრი. პარტიის წევრი გავხდი პირველად, საჯარო სექტორში მუშაობის 30 წლის თავზე, იმიტომ, რომ პირველად დავინახე პარტია, რომელიც ჩემს გემოვნებას მეტ-ნაკლებად აკმაყოფილებს, შეიძლება ითქვას სრულად. რატომ? ეს პარტია იწყებს ცარიელი ფურცლიდან, იწყებს ფინანსური რესურსების გარეშე.

ჩვენ უნდა შევცვალოთ ზოგადი პოლიტიკური კლიმატი. ეს პრეტენზია ნამდვილად გამაჩნია, ჩვენი პარტიის პოზიციიდან გამომდინარე. ჩვენი პარტია არის ცენტრისტული და პროდასავლური ტიპის პარტია. ეს რას ნიშნავს? ნიშნავს იმას, რომ ყველა პროფესიონალი, მიუხედავად მისი პარტიული კუთვნილებისა, უნდა ჩავთვალოთ რესურსად, უნდა ვითანამშრომლოთ ნებისმიერ მათგანთან. დაპირისპირებების რეჟიმი აუცილებლად არის დასამთავრებელი. ისე ჩვენი საზოგადოება ვერავითარ შემთხვევაში წინ ვერ წავა. ამიტომ უნდა ვითანამშრომლოთ ყველასთან, საკრებულოს სხდომა უნდა გავხადოთ სხვა პრობლემებზე ორიენტირებული. საკრებულოს ზოგადი სლოგანი შეიძლება იყოს ,,პარტიული მანტიების გარეშე" . საკრებულოს სხდომა უნდა იმართებოდეს ჩვენი მოქალაქეების ინტერესებიდან გამომდინარე, რადგან ხალხია ხელისუფლების წყარო. უნდა ვეცადოთ რიგითი ოზურგეთელის ყოფა გავხადოთ უფრო ასატანი და მისაღები, ვიდრე არის დღეს. რამდენად გამოგვივა დრო გვიჩვენებს.

კოკა ჯახუტაშვილი, *მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდარი დვაბზუ-ბახვის საარჩევნო ოლქში, (,,გახარია საქართველოსთვის"):* — წინასაარჩევნო გარემო მკვეთრად დაძაბულია. სამწუხაროდ, ბოლომდე იქნა გამოყენებული ყველა ტიპის სახელისუფლებო რესურსი ოპოზიციის წინააღმდეგ. ადამიანები, რომლებიც მოწადინებულნი უნდა იყვნენ ადამიანების უფლებების დაცვისკენ, ვალდებულნი არიან დაიცვან ადამიანის უფლებები, სწორედ ისინი ხდებიან მატერორებლები.ადამიანებს უწყობენ შანტაჟს ხმის სანაცვლოდ და ებღაუჭებიან ხელისუფლებას და იმ სკამებს, რომელიც რატომღაც ჰგონიათ, რომ მემკვიდრეობით გადადის. შემიძლია გითხრათ ფაქტები და არა ერთი, განსაკუთრებით ჩემს სამაჟორიტარო თემში, სადაც იყო ზეწოლები და შანტაჟები ისეთ დაუცველ ადამიანებზე, როგორებიც გახმავთ შშმ პირები, სოციალურ ზღვარს მიღმა ადამიანები. ხელისუფალნი გვიმტკიცებენ, რომ კიდევ თუ მივცემთ მათ შანსს და კიდევ ოთხი წელი თუ იქნებიან ხელისუფლებაში რაღაცას უკეთესობისკენ შეცვლიან. მინდა გითხრათ, რომ ჩემთვის, როგორც ახალგაზრდისთვის ეს უკვე გავლილი და ნანახი სცენარია. ნანახი ფილმია რომელიც უნდა ამოვშალოთ ე. წ. ,,დ" დისკიდან და დავიწყოთ ახლის შენება, ჩვენს გუნდთან ერთად.

მე პირადად ვაპირებ, მოსახლეობასთან ერთად, საერთოდ სხვა სტილის მართვითი სისტემა შემოვიტანო, მართვითი მოდელი, რომელიც იქნება ადამიანის ღირებულებასა და პრობლემებზე ორიენტირებული. ყოვეთვიურად გავმართავ შეხვედრას და შევეკითხები ადამიანებს რა ჭირდებათ? რომელი ერთი პრობლემა ვთქვა? ინფრასტრუქტურის გაუმართავობა მთელი რეგიონის მასშტაბით.ასევე, სასმელი წყლის არ არსებობა.სოფლის ცენტრში არ არის არანაირი სკვერი, სარეკრეაციო სივრცე. სკოლების რემონტი, განათლების სტრუქტურა, რომელშიც მე პირადად ვიქნები წამყვანი ძალა. დელეგირებულ უფლებამოსილებას წარმოადგენს განათლების კომიტეტისთვის ადგილობრივ პრობლემებზე ორიენტირება, 6 საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტის ავტორი გახლავართ. ასეთი საგანმანათლებლო ტიპის პროექტების შემოტანას ვაპირებ აქ.მათ შორის ვიბრძოლებ იმისთვის რომ აუცილებლად გადავამზადოთ და სახელმწიფომ გამოყოს ბიუჯეტი პედაგოგებისთვის. რომლებსაც უნდა ვასწავლოთ ერთხელ და სამუდამოდ რომ მხოლოდ თავისუფალ პედაგოგს შეუძლია აღზარდოს მომავალი თაობა.

ზვიად ბზეკალავა, *მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ,,ევროპული საქართველოდან" ასკანა-ძიმითი-ნაგომარში* : —ჩემს

ოზურგეთელი „ნაციონალების" ლიდერმა „ალიონს" თანამშრომლობაზე მორიგი უარი სტკიცა

,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ოზურგეთის ორგანიზაციის ლიდერმა,ბატონმა დავით მჟავანაძემ, თავისი პოლიტიკური პარტიის დაფინწზე, გაზეთ ,,ალიონს" თანამშომლობაზე მორიგი უარი სტკიცა. და იცით მიზეზი რა არის? პირველი — რამდენიმე წლის წინათ სანდრა რულოვსის ჩამობრძანებისას, სადაც მხოლოდ მათ მხარდამჭერ მედიასაშუალებას უხმეს, სხვა მედიასაშუალების ენით, შავზე შავია და თეთრზე თეთრიაო, რომ ვთქვით; მეორე — როცა საკრებულოს წინა სხდომის გამცდენმა ბესო ქათამაძემ მომდევნო სხდომაზე დაუსწრებლობის მიზეზად მათი მეგობრისა და კოლეგის მცირეწლოვანი შვილის გარდაცვალება დასახელა. არადა, სხდომა, რომელსაც ფრაქცია ,,ნაციონალების" წარმომადგენლები არ დაესწრნენ, თითქმის ორი კვირით ადრე ჩატარდა, ვიდრე ის პატარა ანგელოზი ცათა სასუფეველში გადაბრძანდებოდა.. უფალმა ნათელში ამყოფოს!

სწორედ ამ ტყუილების ააშკარაოზე გამოტანის გამო, გამიხსნა ,,მეორე ფრონტი" ფეისბუკში ბატონმა ბესო ქათამაძემ, ნასაკირალის მაჟორიტარმა დეპუტატმა, რომელსაც, როგორც ,,მიმას ხელის ბიჭს", კარგად ასდის ხელზე პროვოკაციული ხრიკები, თუნდაც ამისთვის თავი გაუტეხონ და რომელიც დაბის მოსახლეობასთან თითქმის ყველა შეხვედრაზე პირდაპირ ეთერში რთავს ნაპრეზიდენტალ საკაშვილს, ფსევდოდაპირებებით აბიაბრუებს ამომრჩეველს. სადური ,,გამსვლელი პიკი" მე ვიყავი, რომ ჩემთანაც ნაპრეზიდენტალის ავტორიტეტის გამოყენება დასჭირვებოდა, ადგა და ფეისბუკში ჯერ სიტყვიერი შეურაცხყოფა მომყენა, შემდეგ კი პრიმიტიულად ჩემი დაპირისპირება სცადა გაზეთის რედაქტორ ნუგზარ ასათიანთან. რამდენად გამოუვიდა, ეს, ალბათ, იცის მკითხველმა.

ეხ, მას შემდეგ ბევრჯერ იწვიმა და ბევრმა ღვარმაც გადაირა, ,,ნაცების", ისევე, როგორც ,,ქოცების" ტყუილში გამოჭერას რა უნდა! სიმართლეს ვერ ნახავ ამათთან, თორემ სიცრუე თავზე გადასდით. ჰოდა, ამ ტყუილებისთვის გაზეთში გამოჭენებას ვერ გვპატიობენ სხვა მედიასაშუალებიდან პერნამენტულად ხოტბაშესხმული ეს ,,სოფლის მაშენებელი" ბატონები, რომელთა გამოისობით ქვეყნის ერთ წინ გადადგმულ ნაბიჯს ორი უკან გადმოდგმული ნაბიჯი მოსდევს ხოლმე.

გასულ კვირაში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე პარტიების ხელმძღვანელობას მივმართეთ და ვუთხარით, რომ შესაძლებლობა ეძლეოდათ, დაეფიქსირებინათ თავიანთი აზრი საარჩევნო გარემოზე, ამავე დროს, ეთქვათ, პირველ რიგში, რას შეცვლიდნენ საკრებულოში თუ არჩევნებში გაიმარჯვებდნენ. უმეტესობამ, განსაკუთრებით ისეთებმა, რომლებსაც ფინანსები უჭირთ, სიამოვნებით მიიღეს ეს წინადადება,რადგანაც შეეძლოთ უფასოდ გამოეცხადებინათ ჩვენი საგაზეთო ფართი, რამდენიმემ გაიპატიჟა და შემდეგ დაგვთანხმდა, ,,ნაციონალებმა" კი, იმთავითვე მტკიცე უარი გვტკიცა. ბატონმა დავით მჟავანაძემ, რედაქტორს ჯერ ტელეფონი გაუთიშა, შემდეგ კი თვითონ დაურეკა, ჩამწერი ჩართო (ფარული ჩანაწერების დიდოსტატების ხელწერა) და მოკლე სატელეფონო დიალოგიც შედგა. ნუგზარ ასათიანის თქმით, ამ დიალოგში მჟავანაძემ მას შეახსენა,რომ ,,ალიონთან" არ თანამშრომლობენ და არც ითანამშრომლებენ გაზეთის ,,ძველი ცოდვების" გამო.

ერთი სიტყვით, ნამეტანი ,,გაკუჭებული" ჩანან ხელისუფლების დაბრუნებისთვის 2012 წლიდან საპირველკაცო ტახტზე მობლაუჭე პოლიტიკური ჯამბაზის ასისტენტები. ჰო, თანამშრომლობაზე უარი რომ გავიგე, ,,ერთი სიკვდილი გავათავე", მაგრამ მაგისთვის შავებს ხომ არ ჩავიცვამ. არ ითანამშრომლებენ და აი დარდი!!! მაგათ ხელისუფლებაში მოსვლის ,,ბედნიერებას" შეიძლება ვერ მოესწრო,მაგრამ ერთი ნამდვილად ვიცი,გაზეთი ,,ალიონი", ვისთანაც ეს ,,გაკუჭებული" ვაუბატონები თურმე თანამშრომლობას არ აპირებენ, პირველი გამშუქებელი იქნება მაგათი პოლიტიკური დაფინისა.

თემურ მარშანიშვილი

ყველა სოფელი ინატრებს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოში ჰყავდეს ასეთი დეპუტატი

ჭეშმარიტებაა, რომ დემოკრატიულ ქვეყანაში არჩევნები დემოკრატიული და თავისუფალი უნდა იყოს, მაგრამ მანამდე საარჩევნო გარემო უნდა პასუხობდეს შესაბამის მოთხოვნებს. ცხადია , ყველა არჩევნების დროს მწვავდება ვითარება სოფელში,ქალაქში თუ ქვეყანაში.დღეს სწორედ ასეთი გაჭწვავებული ვითარებაა სოფელ დვაბზუშირაც უფრო ახლოვდება არჩევნები, მით უფრო მატულობს ასეთი ფონი.

არ ვართ პირველები და არც ბოლო ვიქნებით, ვინც იმას ვამბობთ, რომ მარიკა ჩხიკვიშლისნარი დეპუტატები იშვიათად ჰყოლია გურიის მუნიციპალიტეტის საკრებულოებს. ის, როგორც პიროვნება, შემკულია ყველა ადამიანური ღირსებით, ყველა მშობელი ინატრებს რომ ჰყავდეს ასეთი შვილი, ყველა კაცი ინატრებს რომ ჰყავდეს ასეთი მეუღლე, ყველა ვაჟის მშობელი ინატრებს ასეთ რძალს, ყველა მოსწავლე ინატრებს ასეთ მასწავლებელს, ყველა ადამიანის სურვილი იქნება ჰყავდეს ასეთი მეგობარი და ყველა სოფელი ინატრებს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოში ჰყავდეს ასეთი დეპუტატი. აქტიური, მეგობრული, განათლებული, კომუნიკაბელური, შორსმჭვრეტელი, საკუთარ სოფელზე, მხარეზე, ქვეყანაზე შეყვარებული.

მარიკა არა მხოლოდ დვაბზუს ან არა მხოლოდ ოზურგეთის, არამედ სრულიად გურიის სახეა და თუ ქალების ჩართულობის აუცილებლობაზე ვისაუბრებთ, სწორედ ასეთი ქალები უნდა მოვიდნენ პოლიტიკაში, დიდ პოლიტიკაში, რამეთუ დიდ პოლიტიკას დიდი ადამიანები ქმნიან.

ხალხმა იცის,რა გააკეთა მან,როგორც საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილემ, მთლიანად მუნიციპალიტეტისა და ჩვენი დიდი სოფლისათვის. რა წონა და ფასი აქვს მის სიტყვასა და საქმეს.

დვაბზუს, როგორც ისტორიულ სოფელს,ყველა დროში ჰქონდა და ახლაც უნდა ჰქონდეს თავისი სეფე სიტყვა. ხალხის რწმენით, ამ სიტყვის ჩამო-ყალიბებასა და დაცვას,ჩვენი აზრით,ყველაზე უკეთ მარიკა ჩხიკვიშვილი შეძლებს.

მარიკას დამსახურებაა,რომ დვაბზუს ცენტრალური ქუჩა ამ სოფელში დაბადებული და აღზრდილი დიდი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, ქართული ტოპონიმიკის ფუძემდებლის,ბატონი ალექსანდრე ღლონტის სახელს ატარებს.

ამ დღეებშიც ნათელი გახდა , მარიკა ჩხიკვიშვილს მყისიერად შეუძლია სოფლისათვის საჭირბოროტო პრობლემების მოგვარება. სულ ახლახან,დვაბზუში მმართველი პარტიის ლიდერებთან შეხვედრისას მან დასვა საკითხი დვაბზუს საჯარო სკოლის შენობის რეაბილიტაციის აუცილებლობის შესახებ. მეორე დღესვე ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენლებმა გააკეთეს შენობის სიტუაციური ანალიზი. ასე რომ, ეს მნიშვნელოვანი საკითხი დადებითად გადაწყდა.

ჩვენ ვხედავთ სასიკეთო საქმისთვის მარიკა ჩხიკვიშვილის ანთებულ გულს და გვჯერა,ის სიკეთის მომტანი იქნება სოფლისთვის.

პატივისცემით,
ქეთევან გოლერძიშვილი,
თსუ-ს პროფესორი;
ნინო ჯაველიძე,
ისტორიკოსი.
სოფელი დვაბზუ.

დაფინანსებული ფართი

განცხადება საკონსულტაციო ჯგუფთან დაკავშირებით

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (ცესკო) საკონსულტაციო ჯგუფთან დაკავშირებით ბრიფინგი გაიმართა. როგორც ცესკოს პრესსპიკერმა ნათია იოსელიანმა განაცხადა, წლევანდელი ადგილობრივი თვითმმ-ართველობის არჩევნები გამორჩეული იქნება უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო სიახლეებითა და ტექნოლოგიური ინოვაციებით, რომლებიც მიმართულია მაქსიმალურად ინკლუზიური და გამჭვირვალე საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფისკენ. ხსენებული სიახლეები და ინოვაციები შეჯერებული იქნა ჩართულ მხარეებს შორის ინტენსიური დიალოგის, დისკუსიების პროცესში, პრაქტიკულად სრული კონსენსუსის საფუძველზე.

—„როგორც მოგეხსენებათ, ერთ-ერთი ინიციატივა ამ მიმართულებით, იყო არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახალხო დამცველის მიერ წარდგენილი კანდიდატებით დაკომპლექტებული საკონსულტაციო ჯგუფის იდეა, საჩივრების განხილვის პროცესთან დაკავშირებით ცესკოსთვის გარკვეული რეკომენდაციების წარსადგენად.

ინოვაციურობისა და სამოქალაქო ინიციატივებისადმი გახსნილობის სტრატეგიდან გამომდინარე, ცესკომ გამოთქა სრული მზაობა ამ ინიციატივისადმიც და გადადგა მთელი რიგი კონკრეტული ნაბიჯები ჯგუფის სამართლებრივი, საორგანიზაციო, ტექნიკური და ლოგისტიკური მხარდაჭერისთვის.

აღნიშნულის მიუხედავად, სამწუხაროდ თავად მესამე სექტორის მხრიდან ჩართული სუბიექტების შეგნით არ შეინიშნება საკმარისი რესურსი და ნება ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული კონსტრუქციული თანამშრომლობისათვის.

ცესკოს ხელმძღვა-ნელობამ იტვირთა გარკვეული მედიატორის ფუნქციაც მონაწილე მხარეებს შორის, გაიმართა შეხვედრები ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, შესაბამის სამართლებრივ ბაზაში, ცესკოს კომპეტენციის ფარგლებში შეტანილი იქნა საჭირო ცვლილებები, რათა არ დაზარალებულიყო ჯგუფის გადაწყვეტილებისუნარიანობა მის შიგნით აზრთა გარკვეული სხვადასხვაობის დროსაც, თუმცა სამწუხაროდ საარჩევნო პროცესის ხელშესაწყობად ჩაფიქრებული ეს დამატებითი მექანიზმი, ზოგიერთი მხრიდან გახდა ნიჰილისტური დამოკიდებულების დანერგვაზე და პროცესში ქაოსის შეტანაზე ორიენტირებული მიზა-ნმიმართული თავდასხმების ობიექტი, რამ-აც შესაძლოა, განაპირობა რიგი წევრების მიერ საკონსულტაციო ჯგუფის დატოვება. ეს ნამდვილად დასანანია ჩვენთვის, თუმცა კიდევ ერთხელ ვადასტურებთ, რომ არსებობს ყველა სამართლებრივი, საორგანიზაციო, ტექნიკური და სხვა აუცილებელი ინსტრუმენტი და რაც მთავარია, საზოგადოების დაკვეთა და ჩვენი მტკიცე ნება, რომ მიუხედავად ცალკეული დესტრუქციული მცდელობებისა, წლევანდელი არჩევნები იყოს უპრეცედენტოდ ინკლუზიური, გამჭვირვალე და დემოკრატიული,“- განაცხადა **ნათია იოსელიანმა** ბრიფინგზე.

რას ფიქრობენ თვითმმართველობის არჩევნების შესახებ დეპუტატობის კანდიდატები

მიმართ არანაირი ზეწოლა არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური სუბიექტის მხრიდან. კარდაკარის პრინციპით ვხვდები ამომრჩეველს, დადებითი განწყობა იგრძნობა მა-თგან. აგრესია არავისგან მიგრძნია. წინასაარჩევნო გარემო ჩემთვის დამაკმაყოფილებელია და დანარჩენს არჩევნების დღეს გავიგებთ . იმედია, ჩვენი მოლოდინი გამართლდება.

კონკრეტულ მოსაგვარებელ პრობლემებს რაც შეეხება, როგორც ადგილობრივმა, კარგად ვიცი მოსახლეობის პრობლემები. ამ პრობლემების გათვალისწინებით ვუმუშავებ. მაგალითად, ნაგომარში მწვავედ დგას მოუწესრიგებელი გზების პრობლემა, ასევე უწყლობა აწუხებს ადგილობრივებს. ძიმითში ცენტრალური გზა არის, მაგრამ შიდა საუბნო გზები საჭიროებს.

ასკანა-მზიანში ცენტრალური გზის მხრივ კარგი მდგომარეობაა, არის ცალკეული უბნები, სადაც შიდა გზები მოსაწესრიგებელია.

ზაზა თავაძე, *ლეიბორისტული პარტია,ქალაქ ოზურგეთის №2 მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი:*



საარჩევნო გარემო? პირდაპირ გეტყვით, როგორც ქალაქში, ისე სოფლებში თვალში საცემია მომსყიდველობა. რაც უფრო ახლოვდება არჩევნები, მით უფრო ძლიერდება ეს პროცესი, დადიან და აინტერესებთ, ვის აძლევთ ხმასო.

— იქნებ გამოკითხვას ატარებენ?

— არა, არავითარი გამოკითხვა. ხალხს უნდა არჩევანის გაკეთება, მაგრამ არ აცლიან, ფულითა და საჩუქრებით ცდუნებენ.

— *თქვენთან იყვნენ?*

— ჩემთან არა, მაგრამ ვხედავ სხვებთან, სხვის ოჯახებში რომ დადიან. ვხვდები ყველაფერს. ეს პირველი არჩევნები ხომ არ არის ჩემთვის. გადმოცემით ვიცი, ისიც უთქვამთ, ჩვენ ვინც გვინდა, იმას მისცემთ ხმასო.

— *ბატონო ზაზა, პირველ რიგში, რას გააკეთებდით გამარჯვების შემთხვევაში, როგორც მაჟორიტარი დეპუტატი, საკრებულოს წევრი?*

— რაოდენ უცნაურადაც არ უნდა გეჩვენოთ, პირველ რიგში, მიუსაფარი ძაღლების პრობლემას მოვაგვარებდი. მისი თავშესაფრით, მისი ყველაფრით. მართლა არ შეიძლება ასეთ ყოფაში იყვნენ როგორც ადამიანები, ისე ეს ცხოველები.

ქალაქში წყალმომარაგებას მივხედავდი, წამდაუწუმ რომ სკდება მილები. იკარგება წყალი და იტბორება ქალაქი. ერთ დღეს შეაკეთებენ და მეორე დღეს გამოსულია წყობიდან, იმიტომ, რომ უხარისხოდაა გაკეთებული. პროფესიით მშენებელი ინჟინერი ვარ, საკმაო გამოცდილებით, ვიცი, ეს საქმე და ვხედავ, როგორი დარღვევებით მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები. სულ სხვანაირად გვასწავლიდნენ და ესენი სულ სვანაირად აკეთებენ, არაპროფესიონალები არიან. თითქმის ყველა შენობა მდგრადობის თვალსაზრისით არასაიმედოა, არ იცავენ შრომის უსაფრთხოებას. გახსოვთ, ალბათ, ასეთ დაუდევრობას რამდენიმე მსხვერპლიც კი მოჰყვა ბათუმსა და თბილისში. მოკლედ, ინფრასრუქტურა ჩემი უპირველესი საზრუნავი იქნება. ამავე დროს, დიდ ყურადღებას მივაქცევ სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ერთი სიტყვით, იმედი მაქვს რომ გავიმარჯვებ დაახალი საკრებულოს პირველივე სხდომაზე შევხვდებით, ერთმანეთს, თქვენ როგორც მედიის წარმომადგენელი და მე როგორც მაჟორიტარი დეპუტატი ლეიბორისტული პარტიიდან.

ზურაბ ხომერიკი, *„გირჩი-მეტი თავისუფლება“, პროპორციული სიის მეორე ნომერი და მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი სოფელ ნატანებში:* — დაძაბული წინასაარჩევნო გარემოა. რამდენიმე დამოუკიდებელი კანდიდატია სხვადასხვა უბანზე. დამოუკიდებელი კანდიდატები ჰაერზე არ აყენებენ კანდიდატურას. კენჭს იყრიან იქ, სადაც მეტი შანსი აქვთ, სანაცნობოს, საახლობლოს გათვალისწინებით. შესაბამისად ეს გარემოებები შანსს უმცირებს სახელისუფლებო კანდიდატს, რომ კონკრეტული უბნიდან წამოიღოს ხმა. ასეთი სიტუაციაა მთელი ქვეყნის მასშტაბით. ხელისუფლებაში ყველაფერს კარგად იაზრებენ, ამიტომაცაა მათი მხრიდან რესურსების მაქსიმალური მობილიზება. იგივე ფარული ჩანაწერების გამოქვეყნება, მე არ მჯერა, რომ ვიღაცამ ფარულად გამოიტანა ჩანაწერები. ჩემი აზრით, ხელისუფლებამ ჩვეულებრივად „გამოაცურა" ჩანაწერები და საპატრიარქოს ამით მიანიშნა იმაზე, რომ კომპრომატები აქვს და უფრო აქტიურად უნდა ჩაერთოს საპატრიარქოს რესურსი არჩევნებზე ხელისუფლებისთვის მხარდამჭერების და ხმების მოტანაში.

კონკრეტულად მე საარჩევნო კამპანიაში ხელშეშლა არ მქონია, არავინ მოსულა ჩემთან ან ჩემს საახლობლოში.

„გირჩი“ დეცენტრალიზაციის მომხრეა, თუმცა შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე,

ცინიკურად მეჩვენება, ხალხს ვუთხრა, რომ ჩემი არჩევის შემთხვევაში ერთი კონკრეტული ადამიანი პრობლემებს მოგვარება: — მაგ. წყალს ან შუქს გავიყვან. ყველაფერი არის კონტექსტიდან გამომდინარე, ქვეყანა ახლა ისეთ ვითარებაშია, გეზი იცვალა, ხელისუფლება ჩაბღაუჭებულია ძალაუფლებას და ამ ძალაუფლების არდასამობად ყველაფერზეა წამსვლელი, მათ შორის იმაზე, რომ საქმე დაიჭიროს ჩრდილოეთისკენ, ამაზე ლაპარაკი უკვე ღიად მიდის. ამ ფონზე რომ მე ვიღაცას ვუთხრა, აქ ჩამოვალ და წყალს გავაკეთებმეთქი, არ იქნება სერიოზული ჩემი მხრიდან. მანქანას რომ მართავ და ხევში იჩეხები, სისულელეა იმაზე ფიქრი, რომ ბენზინს აპარებს, პირველი თავში რაც მოგდის, ის არის, რომ როგორმე ეს მანქანა გააჩერო და არ გადაჩეხო ხევში. როცა ამ პრობლემას მოაგვარებ, მერე უკვე იწყებ ფიქრს, როგორ უშველო სხვა პრობლემებს. ასეა — როცა მთავარ პრობლემას გადაწყვეტ, მერე იწყებ ფიქრს, როგორ მოაგვარო პრობლემები ქვეყნის შიგნით.

ანტირუსული მოძრაობა გურია-აჭარაში XX საუკუნის 20 -იან წლებში

გაგრძელება. დასაწყისი „ალიონი“ №28-30

რუსეთის 1917 წლის 17 თებერვლის რევოლუციამ, მეფის ტახტიდან გადადგომამ და დემოკრატიული პროცესების განვითარებამ რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ ერებს დამოუკიდებლობის მოპოვების იმედი ჩაუსახა. ქართველმა თავადაზნაურებმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნეს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს. სანდრო შანშიაშვილი მიესალმა რუსეთში რევოლუციის გამარჯვებას შემდეგი სიტყვებით: დღეს, შენ მხიარულობ თავისუფლებით, რომელიც მე ადრე მომისპე. დღეს შენ ეძიებ შენის სამშობლოს სახელს და დიდებას, რომელიც მე მქონდა და მომისპე. დღეს შენ იბრძვი და მაბრძოლებ სამშობლოსთვის, რომელიც მეც მაქვს და დღეს შენ გეკუთვნის. მე მინდა ჩემი სამშობლო განთავისუფლდეს, რომ თავისუფალმა უფრო მხარი მოგცე, მეც მინდა თავისუფლად ვისუნთქო, რომ სიცოცხლე შემრჩეს და დაგეხმარო. მეც მინდა ჩემი რჯული და ენა მქონდეს, მიდა შენი ერის მსგავსად ჩემი ერიც ჩემს მამულში ხელმწიფებდეს, რომ ღირსეულმა ღირსეულად პატივი გცე. მაშ დამიბრუნე, რაც მე მეკუთვნის, დამიბრუნე თავისუფალმა თავისუფლება, დამიბრუნე მამულით ბედნიერმა, მამულის ბედნიერება, დამიბრუნე საქართველო და მაშინ, მხოლოდ მაშინ უფრო გიწამებ.

1917 წლის 7 მარტს გაზეთ „საქართველოში“ დაიბეჭდა მიმართვა ქართველი ერისადმი, რომელშიც ვკითხულობთ: *„გაფრთხილებთ ქართველებო! ამ საერთო გატაცების დროს, როდესაც აზრიგონების ცივი მსჯავრი და ანალიზი ანთებული გრძნობის ალსა და პარპალში არ მოსჩანს, ჩვენი ეროვნული შეგნების უზენაეს მოვალეობად ვთვლით მოგიწოდოთ და გითხრათ: რუსეთში დღეს რომ ახალი მთავრობა დამყარდა, ამისთანა და ამაზე უფრო რადიკალი და მემარცხენე მთავრობანი ყოფილან და არიან ევროპასა და ამერიკაში, მაგრამ ამ მთავრობებს არ დაუნდვიათ ჩვენსავით ქვეშევრდომი პატარა ერები. მაგალითები ჰკითხეთ ისტორიულ სინამდვილეს! რა ჩაიდინა ინგლისმა ირლანდიისა და ინდოეთის მიმართ. რა ჰქნა გერმანიამ პოლონეთის მიმართ. ამიტომაც რუსეთში ახალი მთავრობის გამეფება იმას არ ნიშნავს, რომ საქართველო ეროვნული უფლებით შეიმოსება და თავისუფლებას დაიბრუნებს. ისტორია არ გვაძლებს ამ ხრივ საბუთს, რომ ვენდოთ. საქართველოს აღდგენა, მისი ეროვნული თავისუფლება მთელი ქართველი ხალხის სიცოცხლის მიზანია“.*

1916 წლის 2 აპრილს კავკასიის მეფისნაცვლის გადაწყვეტილებით ბათუმის ოლქის ერობაში, გუბერნიის ერობის უფლებით შეიყვანეს ოზურგეთის მაზრა იმ მოტივით, რომ ოზურგეთის რაიონი თავისი სასოფლო სამეურნეო კულტურებით და სამეურნეო ინტერესებით ახლოს იდგა ბათუმთან. საქართველოს ერთიან გეოგრაფიულ სივრცეში, ერთმანეთის გვერდიგვერდ მოსაზღვრე უძველეს კუთხეებს გურიას და აჭარას აერთიანებდა ერთიანი ისტორია, საერთო ეკონომიკა და კულტურა. მოგვიანებით, 1924 წლის 23 ივლისს ოზუგეთის სამაზრო აღმასკომის მცირე პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება ოზურგეთის მაზრაში, კერძოდ ქორის ბუდეში აჭარლების ჩამოსახლების და მიწერის შესახებ *[ასს. ფ. ი-82 ან. 1, ს. 34, ფ. 30]*

1918 წლის 18 თებერვალს ქუთაისის გარნიზონის ოფიცერთა საერთო კრებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მიეღოთ მონაწილეობა, როგორც რუსეთის ისე თურქეთის აგრესიისგან ბათუმის დასაცავად. ბრესტ-ლიტოვსკში ბოლშევიკებთან მოლაპარაკების საფუძველზე ბათუმში შეიქმნა სახიფათო მდგომარეობა. კრებამ ოფიცრებს მოუწოდა გაეწიათ ხელმძღვანელობა მებრძოლი რაზმებისთვის, რომლებიც იგზავნებოდა ბათუმის დასაცავად *[ასს. ფ. ი-82 ან. 1, ს. 20, ფ. 170]*

1918 წელს გურიასა და აჭარაში ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში განსაკუთრებით აქტიურობდა სამუსლიმანო საქართველოს განმანთავისუფლებელი კომიტეტის წევრები, რომლებიც პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე ხშირად გადაადგილდებოდნენ ოზურგეთში, სადაც იმართებოდა საიდუმლო შეხვედრები ოსმალეთის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის გეგმის შესადგენად. ახლახან პროფესორმა თამაზ ფუტკარაძემ ჟურნალ „არხეიონში“ დაბეჭდა საინტერესო საარქივო დოკუმენტური მასალა ცნობილი ლოტბარის, ნესტორ ერქომაიშვილის შესახებ. 1905 წლიდან ნესტორ ერქომაიშვილი ანტონ კვაშალთან, პორფირე ჩხაიძესთან, სერაფიონ დათუნაიშვილთან, ილარიონ მენაბდესთან ერთად ჩართული იყო ანტირუსულ მოძრაობაში. ნასაკირალზე, ალიხანოვ-ავარსკის წინააღმდეგ ბრძოლის გამო, მისი ოჯახი გაამწარეს. 1905 წელს ნესტორ ერქომაიშვილმა იარაღი აჰყარა შვიდ „გორ-ოდოვოის''. ესენი იყვნენ: რაჟდენ ჯიქია, კრავჩენკო, და სხვა. ნესტორ ერქომაიშვილს ბენია ჩხიკვიშვილთან, რაფიელ ჩიხლაძესთან, ნოე ხომერიკთან და გიორგი ცინცაძესთან ერთად დიდი ღვაწლი მიუძღვის „გურიის რესპუბლიკის“ ჩამოყალიბებაში. *[თამაზ ფუტკარაძე „პოლიტკატორღელების საკავშირო საზოგადოების აჭარის განყოფილება (1925-1935წწ.) ჟურნალი „არხეიონი“ XIX-XX თბ. 2020]*

ნესტორ ერქომაიშვილისგან კლასობრივი მტრის სახე შექმნეს, რომელთაც მან ღირსეული პასუხი გასცა: „მე თავადაზნაურობიდან გვერდზე გამდგარი, თავადაზნაურობის პასიური ხელისუფლების მოწინააღმდეგეთა რიგებში დამდგარი, გურიელებს დავუჩოქებდი და პატიებას შევთხოვდი''. [ასს. ფ ი-191 ან. 1, ს. 6, ფ. 7]

1919 წელს ნესტორ ერქომაიშვილი მსახურობდა ქართველ მუსულმანთა ბატალიონში, სადაც განაგებდა ბატალიონის სამეურნეო საქმეებს. 1919 წელს მას დაუტოვებია მენშევიკების რიგები, გადასულა ბათუმში და დაუწყია ბრძოლა დენიკინელებისა და სედაი მილეთელების წინააღმდეგ. ნესტორ ერქომაიშვილი 1924 წლის აჯანყებაშიც ღებულობდა მონაწილეობას. აჭარის სახელმწიფო არქივში ინახება საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის აკაკი ჩხენკელის მიერ ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სახელზე გაგზავნილი 1917-1918 წლებით დათარიღებული წერილები, რომლებიც შედგენილია ფრანგულ და გერმანულ ენებზე. საყურადღებოა საქართველოს მუსლიმთა განმანთავისუფლებელი კომიტეტის 1918 წლის 3 აგვისტოს წერილი, რომელსაც ხელს აწერენ ჰაიდარ და ზია აბაშიძეები, ყადირ შერ-ვაშიძე და სულეიმან დიასამიძე, წერილებისადმი ინტერესს განაპირობებს ის გარემოებაც, რომ იგი ქრონოლოგიურად ემთხვევა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წინარე პერიოდს.

საქართველოს დამოუკიდებლობის ერვონული კომიტეტის წევრთა 1917-1919 წლების წერილების შინაარსი მიანიშნებს ქართველ პატრიოტთა საბრძოლო სულისკვეთებაზე, მათ სულიერ სწრაფვაზე ქვეყნის დამოუკდებლობის მიღწევის გზაზე. ქართველ კაცში იმდენად ძლიერი იყო რუსეთის დესპოტურ, საოკუპაციო რეჟიმთან შეურიგებლობის გრძნობა, რომ ზოგჯერ ქვეყნის განთავისუფლების ჟინით შეპყრობილი მამულიშვილნი, ნებსით თუ უნებლიედ უცხო ძალაზე ამყარებდნენ იმედს.

ფრანგულენოვანი დოკუმენტების ქართულ ენაზე თარგმანის გააზრებიდან ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ მართალია ევროპის სახელმწიფოები დაკავებულნი იყვნენ საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხით, მაგრამ ზოგჯერ მათი და საქართველოს ინტერესები არ ემთხვეოდნენ ერთმანეთს, რადგან საქართველოს ძირითად, ერთადერთ მიზანს წარმოადგენდა რუსეთის ექსპანსიიდან განთავისუფლება და ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადება.

1918 წლის აპრილ მაისში საქართველოში დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების საკითხი იდგა და ამით ყველაზე მეტად დაინტერესებულნი იყვნენ ევროპული სახელმწიფოები, რადგან მათ უფლება ეძლეოდათ ჩარეულიყვნენ საქართ-ველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხში.

1918 წლის 15 აპრილს საქართველოს დამოუკიდებელი ეროვნული კომიტეტის წევრები პეტრე სურგულაძე, ზია აბაშიძე, ყადირ შერვაშიძე და სხვები წერილით მიმართავენ ევროპის ქვეყნებს, რომელშიც წუხილს გამოთქვამდნენ ბრესტ-ლიტოვსკის შეთანხმების გამო და აღნიშნავენ, რომ ყარსი, არდაგანი და ბათუმი, რომელსაც რუსეთი და თურქეთი ინაწილებენ, ისტორიულად საქართველოს ტერიტორიის განუყოფელი ნაწილებია.

1918 წლის 11 აგვისტოს ბერლინიდან აკაკი ჩხენკელის სახელზე გამოგზავნილ წერილში აღნიშნული იყო, რომ გერმანიის ხელისუფლებასა და რუსეთს შორის მოხდა შეთანხმება, რომ ორივე ქვეყანას ეცნოთ საქართველოს დამოუკიდებლობა.

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა კავკასიის ფრონტზე საბრძოლველად ქართველი მოხალისეებისგან შექმნა რუსების წინააღმდეგ მებრძოლი ქართული ლეგიონი.

თურქეთი სიტყვით აღიარებდა საქართველოსადმი დახმარებას, მაგრამ სინამდვილეში ცდილობდა რუსეთ-თურქეთის 1877 წლამდე არსებული საზღვრების გადახედვას, რაც ქართველი პატრიოტების აღშფოთებას იწვევდა. საქართველოს დამოუკიდებელი ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე პეტრე სურგულაძე აღნიშნავდა, რომ ქართველი მუსლიმი ინტელიგენცია სახალხო იდეალების ერთგული რჩება და განაგრძობს ბრძოლას სამშობლოს თავისუფლებისთვის, ამ პერიოდში საქართველოს მუსლიმი მოსახლეობის ერთი ნაწილი განიცდიდა თურქული პამისლამისტური აგიტაციის გავლენას, მაგრამ რელიგიური ფანატიზმი არასოდეს მდგარა ზოგადად ქართველობაზე მაღლა *[ასს. ფ ი-87 ან. 2, ს. 2, ფ. 31]*

ამ პერიოდში რუსეთს არ ეცალა საქართველოსთვის, იგი 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის ტრიუმფალური სვლით იყო დაკავებული და დროებით დათმო საქართველო.

უახლესი ისტორიის მკვლევარი ე.ვ. არხიპოვა სტატიაში „ბრიტანული კვალი სამხრეთ კავკასიაში 1917-1918 წლებში“ მიანიშნებს, რომ პირველ მსოფლიო ომში მონაწილე სახელმწიფოთა ფიზიკური და ეკონომიკური სისუსტე ართმევდა მათ შესაძლებლობას რეალურად განეხორციელებინათ კავკასიაში თავიანთი ძალაუფლება“ *[ე.ვ. არხიპოვა, 2016: 216-224]*

ბრიტანეთის ხელისუფლება რეალურად მოკლებული იყო შესაძლებლობას განეხორციელებინა თავისი ძალაუფლება აჭარაში. დიდი ბრიტანეთის მხარდაჭერით განებივრებული სომხეთი ტერიტორიულ პრეტენზიას აცხადებდა ახალციხე, ახალქალაქსა და ბათუმზე. შექმნილი პირობებიდან გამომდინარე, ბრიტანეთის ხელისუფლება იძულებული იყო ტერიტორიულ დავებთან დაკავშირებით მიეღო სხვადასხვა გადაწყვეტილება

უახლესი ისტორიის მკვლევარი ა.ა. მანუხინი სტატიაში „ რუსეთის 1917 წლის რევოლუცია და ამერიკის საზოგადოებრივი-პოლიტიკური და პროგრესული იდეები“ აღნიშნავს: *მოლოდინი იყო იმისა, რომ 1917 წელს დემოკრატიული რუსეთი გარდაიქმნებოდა ძალად, რომელიც წარმართავდა სამხ-ედრო ქმედებებს [ა.ა მანუხინი, 2016: 163] მაგრამ სამწუხაროდ მოლოდინი მოლოდინად დარჩა და 1917 წლის 25 ოქტომბრის სამხედრო-რევოლუციური გადატრიალების შედეგად დემოკრატიული რუსეთი შეიცვალა დიქტატორულ რუსეთად.*

ამ პერიოდში ევროპის სახელმწიფოთა მიერ წარმოდგენილ ერთ-ერთ საუკეთესო პროექტს შეადგენდა რუსეთიდან გამოყოფა და კავკასიის შეერთებული შტატების შექმნა, რაც ისტორიული მოვლენებიდან გამომდინარე, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო სამწუხაროდ ვერ განხორციელდა.

1917-1918 წწ. საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომებზე განიხილავდენ გურიასა და აჭარაში არსებულ პოლიტიკურ ვითარებას. საქართველოს ეროვნული საბჭო აღნიშნულ რეგიონებს, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობის გამოცოცხლების მიზნით უწევდა ფინანსურ დახმარებას. 1918 წლის 14 თებერვალს ალექსანდრე ჯაბადარის მიერ საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სახელზე გაგზავნილ წერილში აღნიშნული იყო, რომ აუცილებელია ოსმალებთან ზავზე მოლაპარაკების პროცესს დასწრებოდნენ ქართველი დელეგატები. დელეგატების მიერ გაწეული ხარჯის დასაფარავად გაგზავნილი იქნა 3000 მანეთი. მეორე წერილში ალექსანდრე ჯაბადარი მიუთითებდა, რომ თუ ეს ფული არ იყო საკამარისი, ის მზად იყო დამატებით შემოეტანა თანხა. ალ.ჯაბადარი დაჟინებით მოითხოვდა ქართველი დელეგატების ოსმალეთში გაგზავნას, საქართველოს სრული დამოუკიდებლობისათვის საფუძვლების მოსამზადებლად.

მერაბ მეგრელიშვილი
ნინო ჯაველიძე

ალიონი 90

1939

სასამართლო სპეკულანტები

ამ დღეებში მეორე უბნის სახალხო სასამართლომ, ამხ Ш. ქადიეშვილის თავმჯდომარეობით, განიხილა ქ. მახარაძის მცხოვრების, შოთა ჭანიშვილის, ცოლის ლუბა კოკიაშვილის და მისი 13 წლის შვილის დანიელის საქმე.

მათ ბრალი ედებოდათ სპეკულანტობაში. ისინი სსრ კავშირის -სხვადასხვა ქალაქებში ყიდულოდნენ სამრეწველო საქონელს და ჰყიდდნენ მახარაძის ბაზარზე სპეკულანტურ ფასებში. ქ. მახარაძიდან გაჰქონდათ ციტრუსოვანთა ნაყოფი და ასაღებდნენ ბაქოში და სხვაგან.

გაჩხრეკისას მათ ბინაზე აღმოაჩნდათ დიდძალი სამრეწველო საქონ-ლი.

სასამართლომ მიუსაჯა: ლ. კოკიაშვილს 6 წლით პატიმრობა და სასჯელის მოხდის შემდეგ 3 წლით საარჩევნო ხმის უფლების აყრა, Ш. ჭანიშვილს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა და 3 წლით საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევა, ხოლო დანიელ კოკიაშვილს მიესაჯა 5 წლით პატიმრობა, ბავშვთა კოლონიაში მოთავსებით, მათი კუთვნილი ქონების კონფისკაციით.

ვ. ჩა-ვა.

№63, 9 ოქტომბერი, 1939 წ.

ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა

აჭარისწყლის ჰიდროელექტრო სადგური — „აწჰესი“, რომელიც უკვე გავიდა ექსპლოატაციაში, 16.000 კილოვატი სიმძლავრისაა. მისი ენერგიის პირველი მომხმარებელია ქალაქი ბათუმი და ბათუმის საწარმოები, რომელთაც შეუძლიათ გამოიყენონ დაახლოებით 5.000 კილოვარი ელექტროენერგია, დანარჩენი 11.000 კილოვატი კი მარაგში რჩება.

„აწჰესის“ 11.000 კილოვატი ენერგიის გამოუყენებლად დატოვება არ იქნებოდა მიზანშეწონილი, რადგან საქართველოს დანარჩენი ჰიდროელექტროსადგურები, როგორიცაა, მაგალითად, „ზაჰესი“, „რიონჰესი“ და სხვ. ძალზე გადატვირთული არიან და ამავე დროს ვერ აკმაყოფილებენ მოთხოვნილებას ელექტროენერგიაზე.

ამიტომ წამოიჭრა საკითხი, გაჩაღებულიყო მუშაობა ელექტროგადამცემის მოწყობისათვის ბათუმი-სამტრედიას შორის ორი მსხვილი ელექტროსადგურის — „აწჰესის“ და „რიონჰესის“ შესაერთებლად.

აღნიშნული სამუშაოს წარმოებას შეუდგა სამშენებლო ორგანიზაცია „აცგესსეტსტროი“, რომელიც შეიქმნა მიმდინარე წლის დასაწყისში და რომელმაც ელექტროგადამცემის სამუშაოებზე წელს უნდა აითვისოს 8. 500. 000 მანეთი.

ყველა სამშენებლო სამუშაო და ხაზის მონტაჟი უნდა დამთავრდეს 1939 წლის ბოლოს.

მთელი გადამცემი ხაზი იყოფა ორ სამშენებლო უბნად; აქედან პირველი უბანი იწყება ბათუმიდან, ვიდრე ლედვამდე და მეორე — ლედვადან მახარაძე-სამტრედია. ორივე უბანში მშენებლობა დაკვრითი წესით მიმდინარეობს.

მუშაობის შეფერხებას ხშირად იწვევს სამშენებლო მასალების დროზე უქონლობა, მაგრამ სათანადო ორგანოების მიერ ამ ნაკლის გამოსასწორებლად მიღებულია ზომები.

მახარაძეში ელექტრო-ხაზის გაყვანისას მხედველობაშია მიღებული ყველა ხელშემწყობი პირობა იმისათვის, რომ ელექტროდენი ჩართულ იქნას მომავალ ქვესადგურში, რომლის აგება განზრახულია ქალაქ მახარაძეში.

ქვესადგურის პროექტი და სქემა შედგენილი და უკვე დამტკიცებულია ხელმძღვანელი ორგანოების მიერ.

ხოლო ახლა საჭიროა დაისვას საკითხი, სადაც ჯერ არს, რათა მახარაძის ქვესადგურის მშენებლობა შეტანილ იქნას 1940 წლის სამშენებლო ობიექტთა სატიტულო სიაში და დაფინანსებულ იქნას იგი.

ზედმეტია ლაპარაკი ქვესადგურის უდიდეს მნიშვნელობაზე მახარაძის რაიონისათვის, იგი მიაწვდის იაფ ელექტროენერგიას ქალაქს, მის მზარდ მრეწველობას, მის აყვავებულ სახალხო მეურნეობას.

მ. გრიგორიანი,
ვ. ლომთათიძე.

№63, 9 ოქტომბერი, 1939 წ.

მზადება ოქტომბრის რევოლუციის 20 წლისთავისათვის

* ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის 22 წლისთავის აღსანიშნავად გაცხოველებული სამზადისი სწარმოებს

ლენინის მოედანზე უკვე დაიწყო ლენინის ძეგლის შეკეთება.

ძეგლი გაკეთდება მოზაიკით და შეიღებება, რაზედაც უნდა დაიხარჯოს 5 000 მანეთი.

ჩქარი ტემპებით სწარმოებს სტალინის, ბერიას, ცხაკაიას, ლენინის და ორჯონიკიძის ქუჩების კაპიტალური რემონტი, რომელიც დამთავრდება 7 ნოემბრისთვის.

ამ ქუჩების კაპიტალურ რემონტებზე დაიხარჯება სულ 10 000 მანეთი.

აბაშიძის ქუჩაზე და გურიის პროსპექტზე 1905 წლის ქუჩით ორ კილომეტრზე დაგებულ იქნება ასფალტი.

სულთათანა

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის ორგანიზაცია ღრმა მწუხარებით იუწყება ქალაქ ოზ-ურგეთის №3 საჯარო სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგის

ლუსია სალუქვაძე-მეგრელაძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

სკანვორდი



პასუხები:

ანიშნეთ: ხელოვნური — ხელოვნური; ქორფული ხალიჩაკალი — ანბანური; ანგარიკი; ფეხბურთი — ბერძენი; ბანანის ბანთიანელები ნეტარი — ბოლოები; ალბომი — ბოლოდროინდელი; ალბომი — ბაღი; ოფიციანტი — ალბომი; ბოლოდროინდელი — ალბომი; ბაღი — ალბომი; ალბომი — ბაღი; ალბომი — ალბომი; ალბომი — ალბომი; ალბომი — ალბომ

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისს

საქართველოს ეროვნულ საბჭოს სხდომა

გაგრძელება. დასაწყისი „ალიონი“ №20-28

თავმჯდომარეობს ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე **ნოე ჟორდანია.**

პრეზიდიუმში არიან: **გიორგი ლასხიშვილი, გრიგოლ ვეშაპელი, პავლე საყვარელიძე.**

მდივნად არის ეროვნულ საბჭოს მდივანი **ილია ზურაბიშვილი.**

კრება ნაშუადღევის 4 საათსა და 40 წუთზე იწყება.

კრების გახსნა

თავმჯდომარე: საქართველოს ეროვნულ საბჭოს სხდომას გახსნილად ვაცხადებ.

ნოე ჟორდანიას სიტყვა

მოქალაქენო! დღეს თქვენ აქ მოწმე იყავით ერთი ისტორიული და ამავე დროს ტრაღიკულ აქტისა. ამ დარბაზში მოკვდა ერთი სახელმწიფო და აი, ახლა, ამავე დარბაზში, ეყრება საფუძველი მეორე სახელმწიფოს.

ამ ორ სახელმწიფოთა შორის, რომელთაგანაც ერთი მოკვდა და მეორე იბადება, შეუძლებელია ყოფილიყო ინტერესთა წინააღმდეგობა.

და თუ ოდესმე პირველი აღსდგება მკვდრეთით, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, მათ შორის მუდამ იქნება ინტერესთა თანხმობა (ტაში).

საქართველოს ახალი სახელმწიფო, რომელიც დღეს არსდება, არ იქნება მიმართული არც ერთი ხალხისა, არც ერთის სახელმწიფოს წინააღმდეგ.

მისი მიზანია დღევანდელ ისტორიულ ქარტეხილისაგან დაიფაროს თავისი თავი.

და როცა ამას მოახერხებს, იგი დაეხმარება სხვებსაც, ვინც ჩვენ ქვეყ-ანასთან ერთად ჩავარდა დიდ განს-აცდელში! (ტაში).

თქვენ კარგად იცით, საქართველო ჩვეულია ბრძოლას თავის არსებობის დასაცავად. ის საუკუნოებით იბრძოდა, რათა თავისი სულიერი ვინაობა, ნაციონალური ორგანიზმი და ტერიტორია შეენარჩუნებინა. მაგრამ იგი იბრძოდა მხოლოდ თავის დასაცავად და არ ებრძოდა სხვის არსებობას.

ამასთანავე იგი იბრძოდა არა მარტო ქართველთათვის, არამედ იმ ერებისთვისაც, რომელნიც მოსახლეობდნენ მის სახელმწიფოებრივ ფარგლებში; მეტსაც ვიტყვი, - ის იბრძოდა თვის ფარგლებს გარეშეც, აგრეთვე, სხვების დასაცავად.

ეს დიდი ისტორიული მაგალითი ცხოველმყოფელ ანდერძათ დარჩა ქართველ ხალხს და ეს სრული გარანტიაა იმისა, რომ დღევანდელ ქართველ ერს შერჩენილი აქვს მისი ძირითადი ისტორიული მიდრეკილება – შეუსაბამოს ხოლმე თვისი ინტერესი სხვა ერთა ინტერესებს.

სწორედ ამიტომ არც ერთი ერი – ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები, თუ ჩვენს სახელმწიფოს გარეშე მყოფი, არ უნდა განიცდიდეს ჩვენ გამო რაიმე აღელვებას, სულიერ მტკივნეულობას და წყენას.

და განა დღეს სეიმში არ განაცხადეს სხვა და სხვა ორატორებმა, რომ არ არის ისეთი ერი, რომელიც ცუდათ იხსენიებდეს ქართველ ერს?!

ეს არის იმის თავდები, რომ ახალი სახელმწიფო, ახალი მთავრობა სავსებით გაამართლებს ამ იმედებს.

ჩვენ გვსურს ვიქონიოთ მეგობრული ურთიერთობა ჩვენს გარეშე და ჩვენს შორის მყოფ ერებთან.

ჩვენ მივაქცევთ განსაკუთრებულ ყურადღებას იმ ერის დიდ ტრაგედიას, რომლის ერთი ნაწილი ჩვენს ტერიტორიაზე სცხოვრობს, ხოლო მეორე ნაწილი ჩვენს გარეშე. ეს არის სომხობა.

ძველს ანდერძს დღევანდელი ქართველობა გაიხსენებს და სომხის ერი იმავე მფარველობას ჰპოვებს ჩვენში, რომელსაც ჰპოვებდა იგი ქართველ მეფეთა შორის! (ხანგრძლივი ტაში).

ჩვენ გვსურს კეთილგანწყობაში ვიყოთ ამიერკავკასიის მოსახლეობის დიდ უმრავლესობასთან, მუსულმანებთან. ჩვენ გვინდა, რომ მათ მოგვბაძონ. დაიარსონ ასეთივე სახელმწიფო და შეერთების ხელი გამოგვიწოდონ (მხურვალე ტაში).

ამასთანავე ეს დამოკიდებულება ჩვენს გარშემო მყოფ ერებისა იქნება უფრო მკვიდრი საფუძველი, რომელიც გაამაგრებს ჩვენს ნორჩ სახელმწიფოს და აგრეთვე ამ ერებსაც და საშუალებას მოუსპობს ჩვენს საერთო მოქიშპეთ წიხლი ჩაგვცენ და დაგვანგრიონ. ჩვენს სახელმწიფო ფარგლებში მოსახლეობს სხვა და სხვა ერთა უმცირესობა. ვაცხადებ, რომ ეროვნული უმცირესობანი იქნებიან ისევე უფლებამოსილნი, როგორც იქნება ჩვენი სახელმწიფოს ეროვნული უმრავლესობა – ქართველობა.

ეს ერნი, - შეერთებულნი ერთის დროშის ქვეშ, შეჰკრავენ კავშირს იმ ერებთან, რომელნიც ჩვენი ქვეყნის ფარგლების გარეშე იმყოფებიან, - და ამით წარმოიშვება ის სახელმწიფოებრივი კავშირი, რომელიც აღადგენს აქ, ჩვენს წინაშე, დაღუპულს სახელმწიფოს.

*ეს სახელმწიფო იქნება **კავკასიის კონფედერატიული კავშირი** (ხანგრძლივი ტაში მთელს დარბაზში).*

ამ რიგად, ჩვენი სავალი გზა, ჩვენი იდეალი უნდა იყოს ამ კავშირის შედგენა. ეს კავშირი იქნება ის სახელმწიფოებრივი ორგანიზმი – სახელმწიფოთა კავშირი, - რომელიც საერთო ძალ-ღონე შეკრებილი, წარდგება გარეშე მტერის წინაშე და დაიცავს თავის თავს (ტაში).

აი, მაშინ შეიძლება აღსრულდეს ის, რაც სეიმმა ვერ შექმნა.

და ის, ვინც ახლა შეუგნებლად მიდის ამიერკავკასიის ფარგლების გარეშე – შესაძლებელია კვალად მობრუნდეს და საერთო დროშის ქვეშ დადგეს.

ამით დამყარდება ამიერკავკასიის ერთობა და აქ მოსახლე ერების ძლიერება (ხანგრძლივი ტაში და ოვაციები).

ეხლა მომეცით ნება გადავიდე იმ საგანზე, რომლისთვისაც ჩვენ აქ შევიკრიბენით.

*ჩვენ უკვე გვაქვს შემუშავებული **აქტი საქართველოს დამოუკიდებლობისა,** რომელიც წაკითხული იქნება ახლა.*

(ნოე ჟორდანია ნაშუადღევის 5 საათსა და 10 წუთზე კითხულობს დამოუკიდებლობის აქტს)

აქტის წაკითხვა აივანზე

(მყუდროების დამყარების შემდეგ თავმჯდომარის წინადადებით ეროვნულ საბჭოს მდივანი ილია ზურაბიშვილი სასახლის აივანზე გადის და იქიდან უკითხავს თავმოყრილ ხალხს დამოუკიდებლობის აქტს. აივანზე აქტის კითხვის დროს საპატიო დარაჯთა რაზმი სდგას ორის ეროვნულ დროშით.



აქტის თითოეული დებულება ხალხში დიდს ენთუზიაზმს იწვევს. ვაშას ძახილი, ტაში და ოვაციები განუწყვეტელია).

რუსული თარგმანის წაკითხვა

(ამავე დროს კრების დარბაზში, თავმჯდომარის ამხანაგი გრიგოლ ვეშაპელი, თავმჯდომარის წინადადებით, კითხულობს აქტის რუსულ თარგმანს, რასაც მოჰყვება იგივე ტაში და ოვაციები).

აქტის მიღება და დამტკიცება

თავმჯდომარე: *თანახმა ხართ მიიღოთ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი თუ არა? გთხოვთ ასწიოთ ხელი. ვინაა წინააღმდეგი? არავინ. თავი ვინ შეიკავა? არავინ.* ***საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი ერთხმად იქმნა მიღებული*** (ხანგრძლივი ტაში. ისმის ხმები: გაუმარჯოს საქართველოს! გაუმარჯოს!).

ვთხოვ საბჭოს ყველა წევრებს, რომ კრების შემდეგ მოვიდნენ აქ და აქტს ხელი მოაწერონ.

დროებით მთავრობის შემადგენლობა

თავმჯდომარე: ეხლა ნება მიბოძეთ გამოვაცხადო ჩვენის დროებით მთავრობის შემადგენლობა, რომელიც შედგენილია [ეროვნულ საბჭოს] აღმასრულებელ კომიტეტის მიერ, ფრაქციების წარმომადგენლებთან შეთანხმებით.

1. მთავრობის თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი **ნოე რამიშვილი.**
2. საგარეო საქმეთა მინისტრი **აკაკი ჩხენკელი.**
3. სამხედრო მინისტრი **გრიგოლ გიორგაძე.**
4. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი **გიორგი ჟურული.**
5. განათლების მინისტრი **გიორგი ლასხიშვილი.**
6. მიწათმოქმედებისა და შრომის მინისტრი **ნოე ხომერიკი.**
7. იუსტიციის მინისტრი **შალვა მესხიშვილი.**
8. გზათა მინისტრი **ივანე ლორთქიფანიძე.**

(ყველა ზემოთ აღნიშნულ პირთ კრება და დამსწრე საზოგადოება ტაშით და ოვაციებით ეგებება, აკაკი ჩხენკელის გარდა, რომელიც საზავო დელეგაციაში იმყოფება, ყველა დანარჩენნი დარბაზში არიან. მინისტრები მთავრობის ადგილს იჭერენ).

მთავრობის დამტკიცება

(თავმჯდომარის შეკითხვაზე კრება ერთხმად ამტკიცებს ზემოთ დასახელებულ პირთა მთავრობათ არჩევას).

არსებულ კანონების დადასტურება

თავმჯდომარე: *ახლა საჭიროა, ვიდრე ჩვენ შევუდგებით კანონების გამოცემის მუშაობას, ძალაში დარჩეს ყველა კანონი, რომელიც დღემდე არსებობს და საქართველოში მოქმედებს, სხვათა შორის, სეიმის დადგენილებანიც.*

(კრება ერთხმად იღებს ამ წინადადებას).

ფინანსები

თავმჯდომარე: *ამის გარდა, ჩვენ უნდა მივიღოთ წინადადება ფინანსების შესახებ. ვინაიდან საფინანსო საქმე მეტის მეტად რთულია, საჭიროა დროებით დარჩეს ძველი წესი ფულის ბეჭდვისა, სანამ ჩვენი საკუთარი სახელმწიფოებრივი ფულის სისტემა შემუშავდება; ე.ი. ამიერკავკასიის ფულის საერთო სისტემა იქნება, მუსულმანებთან და სომხებთან შეთანხმებით.*

გიორგი გვაზავა: (ადგილიდან) *ეგ საკითხი დღეს გადაიდოს!*

თავმჯდომარე: *გადადება შეუძლებელია. ფული ყოველ წამს საჭიროა და ჩვენ კი ფულის სისტემას სასწრაფოდ ვერ შევქმნით.*

ამასვე თხოულობს მთავრობა.

(კრება ერთხმად იღებს თავმჯდომარის წინადადებას ფინანსური საქმის შესახებ, ე.ი. დროებით დარჩეს ძველი წესი ფულის სისტემის).

სამანდატო კომისია

თავმჯდომარე: *აგრეთვე საჭიროა ჩვენს შემდეგ კრებას კანონებრივი ხასიათი მივცეთ. გამოვარკვიოთ ვინ არის წევრი და ვინ კანდიდატი. ამისთვის უნდა ავირჩიოთ სამანდატო კომისია, რომელიც შემდეგ სხდომისთვის წარმოგვიდგენს მოხსენებას. გთხოვთ დაასახელოთ* (ასახელებენ):

1. **თევდორე კიკვაძეს.**
2. **რაჟდენ არსენიძეს.**
3. **შალვა მიქელაძეს.**
4. **იასონ ლორთქიფანიძეს.**
5. **გიზო ანჯაფარიძეს.**
6. **კალენიკ ქავთარაძეს.**
7. **გიორგი გვაზავას.**

(კრება ერთხმად ამტკიცებს ამ შემადგენლობას).

თავმჯდომარე: დღევანდელი წესრიგი დასრულებულია. ამ დღეებში ჩვენი მთავრობა წარმოუდგენს საბჭოს დეკლარაციას.

მისალმებანი

თავმჯდომარე: *ახლა ჩვენ უნდა გადავიდეთ კრების სავნის მეორე მხარეზე. აქ იმყოფებიან ერთა წარმომადგენლები, რომელთაც განაცხადეს სურვილი მიესალმონ საბჭოს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების გამო.*

მაჰმადიანთა წარმომადგენლის ფათალი ხანი ხოელის სიტყვა

მაჰმადიანთა ცენტრალურ კომიტეტის სახელით მოგილოცავთ, დამოუკიდებელ საქართველოს მოქალაქენო, თქვენს დღევანდელ ბედნიერებას.

100 წელზე მეტია, რაც საქართველო იბრძოდა თავის დამოუკიდებლობისათვის და აი, დღეს აგისრულდათ ის ნატვრა, რომელიც ჩამარხული იყო ყოველ ქართველ მამულიშვილის გულში.

ამიერკავკასიის ერები ცდილობდნენ, რომ შეექმნათ ერთი მთლიანი სახელმწიფო, მაგრამ დღევანდელ პირობებში ჩვენ ეს ვერ შევძელით.

ეხლა ჩვენ ვშორდებით ერთმანეთს, რომ შემდეგში უფრო მტკიცედ შევკავშირდეთ, ჩვენი განშორება არა იქნება ხანგრძლივი. უკვე ახლოა ის დღე, როდესაც ჩვენ სახელმწიფოებრივ ცხოვრებას ერთი მიმდინარეობა მიეცემა.

ჩვენ ვგრძნობდით განშორების აუცილებლობას, მაგრამ ისიც გვწამს, რომ მალე ისევ შევკავშირდებით.

ნება მომეცით, ერთხელ კიდევ მო-გილოცოთ ამიერკავკასიის ყველა მაჰმადიანის სახელით: გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს! (ტაში).

ადგილობრივ პოლონელთა წარმომადგენლის სიტყვა

(თარგმნილია რუსულით)

ჩვენ, პოლონეთის შვილები, მივესალმებით მებრძოლ საქართველოს თავისუფალ შვილებს და ვუსურვებთ ყოველივე სიკეთეს.

გაუმარჯოს საქართველოს!

(გაგრძელება იქნება)

ვახტანგ გურული

საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფო, (1918) გვ. 159-164)

ტურიზმის ფესტივალი

16 სექტემბერს, ოზურგეთისა და ჰელმის (პოლონეთი) შემოქმედებითი კოლექტივების მონაწილეობით, გაიმართა „ტურიზმის ფესტივალი - საუკეთესო პრაქტიკა ტურისტული პროდუქტების პოპულა-რიზაციისთვის“, რომლის პირდაპირი ტრანსლაცია განხორციელდა პორტალ **youtube**-ზე.

ფესტივალზე წარმოდგენილი იყო ორი ქვეყნის სამზარეულოების პრეზენტაციები და კონცერტი, ფოლკლორული ანსამბლების მონაწილეობით.

ფესტივალის დასასრულს, ოზურგეთისა და ჰელმის (პოლონეთი) მუნიციპალიტეტებს შორის გაფორმდა „მეგობრობისა და თანამშრომლობის მემორანდუმი“, რომელსაც ხელი მოაწერეს ოზურგეთის მერის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **ალექსანდრე სურგულაძემ** და ქ. ჰელმის ვიცე-მერმა ქალბატონმა **დოროთა ცესლიკმა.**

„ტურიზმის ფესტივალი - საუკეთესო პრაქტიკა ტურისტული პროდუქტების პოპულარიზაციისთვის“ გაიმართა პროექტის - „ტურისტული ბრენდი - ტურიზმის გაძლიერების შესაძლებლობები გურიაში. ევრორეგიონBUG-ის გამოცდილების გაზიარება“ ფარგლებში.

პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ მხარდაჭერილი პროექტის პარტნიორებია: ევრორეგიონი BUG-ი, ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტები, თანამონაწილეობისა და ჩართულობის ცენტრი „სიპისი“, „I (პირველი) ბლოკი“.

ოზურგეთში კულტურისა და დასვენების პარკის რეაბილიტაცია დაიწყო

პროგრამა „განახლებული რეგიონების“ ფარგლებში, ოზურგეთში კულტურისა და დასვენების პარკის რეაბილიტაცია დაიწყო.

სამუშაოებს შ.პ.ს „არბა“ ასრულებს, რომლის სახელშეკრულებო ღირებულება 2 687 700 ლარს შეადგენს.

შეგახსენებთ, რომ პრემიერ-მინისტრის ინიციატივით დაწყებული „განახლებული რეგიონების“ სახელმწიფო პროგრამა 4-წლიანია და მოიცავს ქვეყნის 63 მუნიციპალიტეტს. პროგრამა ითვალისწინებს რეგიონების ურბანულ განახლებას, რაც სხვადასხვა მნიშვნელოვანი ობიექტის/მდებარეობების განვითარებას გულისხმობს.

ნონა გაფრინდაშვილი Netflix-ის წინააღმდეგ - ლეგენდარული მოჭადრაკე მილიონობით დოლარს ითხოვს

ლეგენდარულმა ქართველმა მოჭადრაკემ ნონა გაფრინდაშვილმა მსოფლიოში ერთ-ერთ უმსხვილესი ინტერნეტტელევიზია **Netflix**-ის წინააღმდეგ აშშ-ში, კერძოდ კალიფორნიის შტატის სასამართლოში, სარჩელი შეიტანა, სადაც ქალბატონი ნონას ინტერესებს ამერიკული იურიდიული ფირმა **BLB** იცავს, რომლის მიერ გავრცელებული პრესრელიზის მიხედვით, სარჩელი ეხება **Netflix**-ის მინისერიალ "ლაზიერის გამბიტის" (**The Queen's Gambit**) ფინალურ ეპზოდში ნონა გაფრინდაშვილის სახელის ხსენებისას გაჟღერებულ მცდარ ცნობებს, მისი ლეგენდარული კარიერისა და მიღწევების შესახებ. კერძოდ, ერთ-ერთ ეპიზოდში, როდესაც სერიალის მთავარი გმირი მოსკოვის ტურნირში მონაწილეობს, დიქტორი ახსენებს ნონა გაფრინდაშვილის სახელს და ამბობს, რომ იგი ქალთა შორის მსოფლიოს ჩემპიონია, მაგრამ არასდროს უთამაშია მამაკაცი მოჭადრაკეების წინააღმდეგ, რაც სრული სიცრუეა და რის დასტურადაც აღნიშნულ სარჩელს თან ერთვის უამრავი ფაქტი და დამადასტურებელი მასალები.

ამ ფაქტთან დაკავშირებით **The New York Times**-მაც დაწერა. გამოცემის ინფორმაციით, 16 სექტემბერს ნონა გაფრინდაშვილმა, **Netflix**-ის წინააღმდეგ სამართლებრივი დავა წამოიწყო და "ლაზიერის გამბიტში" დამახინჯებული ფაქტების გამო მიყენებული სოლიდურია ზიანის (როგორც ფინანსური, ასევე პროფესიული) კომპენსაციას ითხოვს. ამასთან, ლეგენდარული მოჭადრაკის მოთხოვნაა, რომ აღნიშნული მონაკვეთი სერიიდან ამოიჭრას.

თავის მხრივ ფაქტს ეტფლიხშიც გამოეხმაურნენ და აღნიშნეს, რომ უაღრესად დიდ პატივს სცემენ ქალბატონი ნონას მიღწევებს, მაგრამ მის სარჩელს უსაფუძვლოს მიიჩნევენ და თავიანთი სიმართლის ნებისმიერ ინსტანციაში დაცვას აპირებენ.

განცხადება

2021 წლის ეროვნული გამოცდების შედეგად %-იანი სახელმწიფო გრანტის მიმღები სტუდენტების საყურადღებოდ!!!

ვინაიდან, უმაღლესი სასწავლებლები ჩარიცხვის შესახებ ცნობებს გასცემენ მიმდინარე წლის 20 სექტემბრიდან, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში დოკუმენტების მიღების ვადა გახანგრძლივდა 20 სექტემბრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით. შეგახსენებთ, რომ უნდა წარმოადგინოთ შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

განცხადება;

ცნობა ჩარიცხვის შესახებ უმაღლესი სასწავლებლიდან.

სტუდენტის ჩარიცხვისა და 100%-იანი გრანტის მიღების შესახებ ცნობა შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრიდან;

პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასლი)

პირადი საბანკო რეკვიზიტები (ანგარიშის ნომერი).

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი მე-6 წელია ახორციელებს წარმატებულ აბიტურიენტთა წამახალისებელ პროგრამას, რომელიც ითვალისწინებს 100%გრანტის მფლობელი ახალგაზრდების და მათი აღმზრდელი სკოლების დაჯილდოებას.

მიმდინარე წელსაც, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებით 100 %-იანი გრანტის მფლობელ სტუდენტებს მუნიციპალიტეტი საჩუქრად 3 000 ლარს, ხოლო აღმზრდელ სკოლებს 1000 ლარს გადასცემს.

შენიშვნა: გთხოვთ, გაითვალისწინოთ და ზემოაღნიშნული დოკუმენტაცია წარმოგვიდგინოთ სრულად.

7 დღის ამინდის პროგნოზი

20 სექტემბერი ორშაბათი	21 სექტემბერი სამშაბათი	22 სექტემბერი ოთხშაბათი	23 სექტემბერი ხუთშაბათი	24 სექტემბერი პარასკევი	25 სექტემბერი შაბათი	26 სექტემბერი კვირა
მზე, ღრუბელი +15+23	მზე, +14+21	წვიმა +13+19	წვიმა +11+18	წვიმა +11+18	წვიმა +13+21	მზე, ღრუბელი +14+21